MES 4 23 0001251483

27/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
საბა ელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა:
ირაკლი მანელიძე - სკოლის დირექტორი;
ლიკა გიორგაძე - სკოლის იურისტი.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა:
ეთერ ჩიხლაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

სსიპ- ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლა:
ვერა ბენიძე - დირექტორის მოვალების შემსრულებელი.

სსიპ - ვაჟა-ფშაველასსახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლა:
ეკატერინე ხუციშვილი -დირექტორის მოვალების შემსრულებელი.

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლა:
მარინე ცარციძე - დირექტორის მოვალების შემსრულებელი.

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა:
ლია ფალელაშვილი -დირექტორის მოვალების შემსრულებელი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა:

ა) ნინო მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კანდელაკი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლა:

ა) მედეა ქოქრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ცირა ბრეგვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლა:

ა) ლენა გომართელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სერგო დურგლიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის №9 საჯარო სკოლა:

ა) ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინ გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლა:

ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მელქაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თინათინ ნანობაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17- მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 13 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა,

რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ- ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გაბხილვა;
5. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ- გორის მუნიციპალიტეტის სოფელს ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის განხილვა დაიწყო ინფორმაციის გაჟღერებით, რომ დაწესებულებამ, რომლის საკითხიც განიხილებოდა სხდომაზე, ინფორმირების მიზნით ცენტრს და საბჭოს წარუდგინა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ითხოვა აღიშნული მიეღოთ ცნობად.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ნინო მუმლაძემ.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საკითხის წარდგენა დაიწყო ვიზიტის საერთო მოკლე მიმოხილვით და განაცხადა, რომ შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 03 და 04 აგვისტოს. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შემავალი სხვა ექსპერტები და აღნიშნა, რომ მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. აქვე

დაამატა, რომ საწყის ეტაპზე, უშუალოდ ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პირველად საავტორიზაციო განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ხოლო შემდეგ ადგილზე მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და დამატებითი მასალების შესწავლა / შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დღის წესრიგის მიხედვით დისტანციურ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის მასწავლებლებს და დაეზუსტებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მე-2 სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულება, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, სწავლა-სწავლების პროცესს განახორციელებს ქართულ ენაზე და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურზე. სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 504 მოსწავლეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას განუცხადა, რომ მას შემდეგ რაც სკოლამ მიიღო დასკვნის პროექტი, შესაბამის ვადაში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და დანართად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო აქტივობების განხორციელების ვადები, შესაბამისი ადამიანური და/ან მატერიალური რესურსები და პასუხისმგებელი პირები. ნინო მუმლაძემ აქვე დაამატა, რომ ის კომპონენტები, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციის გადმოგზავნამდე, დასკვნის პროექტში, შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, უკვე საბოლოო დასკვნაში გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ვინაიდან სკოლის მიერ წამოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა შესაბამის ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების გათვალისწინებით.

ექსპერტმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პირველი (სკოლის ფილოსოფია), მეორე (სასკოლო კურიკულუმი სამივე საფეხურზე) და მეოთხე სტანდარტი შეაფასა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

მე-3 სტანდარტის კომპონენტებზე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა უფრო დეტალურად და განმარტა, რომ 3.4 კომპონენტი რომელიც შეეხებოდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას, სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე სკოლას სრულყოფილად არ ჰქონდა დაკმაყოფილებული, კერძოდ, არ იყო გამართული საევაკუაციო სისტემა, ისევე როგორც სამეთვალყურეო აღჭურვილობა. თუმცა სკოლას ჰქონდა შესაბამისი მზაობა და წარმოადგინა დოკუმენტაცია, იმის დასტურად, რომ აღნიშნული აღმოიფხვრებოდა სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

ექსპერტის განმარტებით, 3.5 კომპონენტი (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ვიზიტისას ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სარემონტო სამუშაოები და არ იყო მოწყობილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისობის გეგმაში გაწერა კონკრეტული აქტივობები ვადების მითითებით, 3.6 კომპონენტი (საინფორმაციო რესურსები) შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ რეკომენდაციებსა და რჩევებზე, რომლებიც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა სტანდარტების კომპონენტებისა და შესაბამისობის გეგმაში დაფიქსირებული აქტივობების მიხედვით. აღნიშნული დეტალურად იყო გაწერილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაში. ასევე, ნინო მუმლაძემ, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, ვიზუალიზაციისთვის, წარუდგინა ფოტო მასალა, სადაც ასახული იყო, თუ როგორ სახეს მიიღებდა დაწესებულების სხვადასხვა სივრცეები სარემონტო სამუშაოების დასრულების

შემდგომ. აღნიშნული ფოტოები წარმოდგენილი იყო სკოლის არქიტექტურული პროექტის გეგმიდან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პრეზენტაციის დასრულების შემდგომ საბჭოს თავმჯდომარეს კითხვა გაუჩნდა სკოლის სართულიანობასთან დაკავშირებით. როგორც საკითხის წარდგენისას აღინიშნა, სკოლის შენობა მოიცავდა 5 სართულს, საიდანაც უშუალოდ მე-5 სართულზე განთავსებული იყო კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეთა საერთო სარგებლებისთვის. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად იყო ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება დაცული და იყო თუ არა გათვალისწინებული შენობის 5 სართულის დაცლა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და სკოლის დირექტორმაც განაცხადეს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში, რომელიც უკვე შეთანხმებული იყო უფლებამოსილ ორგანოსთან, შენობის ყველა სართულზე გათვალისწინებული იყო საევაკუაციო გასასვლელი კიბეები, ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მე-5 სართულზე არ ხდებოდა ბევრი მოსწავლის ერთდროული თავმოყრა, ეს ფაქტი არ აბრკოლებდა ევაკუაციის შესაძლებლობას.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს სარემონტო სამუშაოების მდგომარეობასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტის მსვლელობის დროს ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული აღნიშნული პროცესი, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო მოცემულ მომენტში რემონტი და ესწრებოდა თუ არა მისი დამთავრება სწავლის დაწყებამდე. სკოლის დირექტორმა, ირაკლი მანელიძემ, განმარტა, რომ სარემონტო სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო, თუმცა 25 სექტემბრამდე, რა თარიღშიც იგეგმებოდა სწავლის დაწყება, სარემონტო სამუშაოები სრულად დასრულდებოდა და მოსწავლეთათვის და პერსონალისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა უსაფრთხო გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს წევრებს შეკითქვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 504-ით განსაზღვრის საკითხი.
სკოლის იურისტმა, ლიკა გიორგაძემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე - 13 სექტემბერი, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, რათა სკოლას დროულად უზრუნველყო სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ დაფიქსირებული მისი ხმა გამოწვეული იყო სკოლის შენობის შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული მდგრადობის დასკვნის არქონით.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 და მე-11 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლას (ს/კ: 406404939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 504 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 13 სექტემბრიდან.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)**
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა N21

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი სრულად (სამივე საფეხურისთვის), მე-3 სტანდარტის 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

2.სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა მედეა ქოქრაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 27 და 28 ივნისს. დაწესებულება ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმით დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად - 160 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, სრულად მორგებული მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს, ხოლო სკოლის პერსონალი იყო ერთ გუნდად შეკრული და მოტივირებული.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. მან განაცხადა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით, რომელიც შეეხება სკოლის ფილოსოფიას, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი და სტანდარტიც შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ექსპერტმა, მედეა ქოქრაშვილმა განაცხადა, რომ სკოლა ასევე მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით (სასკოლო კურიკულუმი და მოსწავლეთა მხარდაჭერა), იყო შესაბამისობაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე, რომელმაც გამოიწვია მესამე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობა იქიდან გამომდინარე, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე სკოლას გამოგზავნილი ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა იმ დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე, რომელიც სკოლაში დაფიქსირდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში. ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები მესამე სტანდარტთან (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) დაკავშირებით, კერძოდ, 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტებთან მიმართებით, რაც დეტალურად იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილი.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა სკოლას ექიმის ასაყვანად გამოცხადებულ ვაკანსიაზე საფუძვლად მითითებული მასწავლებლის შესარჩევი ბრძანება.

სკოლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური შეცდომა და სამომავლოდ სკოლა გაითვალისწინებდა და მეტ ყურადღებას მიაქცევდა მსგავს ფაქტებს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, თუ ჰყავდა სკოლას სსს მოსწავლეები. მან აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულება სკოლაში ხელახლა გადასახედი იყო და შესაბამისად კონცეფციაც საჭიროებდა მოდიფიცირებას და მოსწავლეთათვის რეალური, სრულყოფილად ინკლუზიური გარემოს შექმნას.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა ორი სსს მოსწავლე და სკოლა აუცილებლად გაითვალისწინებდა მითითებულ რჩევებსა და რეკომენდაციებს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ტარდებოდა თუ არა სკოლაში წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზი შესაბამისი ორგანოს მიერ.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ სკოლაში იყო ცენტრალური წყალმომარაგება და აღნიშნულის მიუხედავად ყოველ 6 თვეში ერთხელ მოდიოდა შესაბამისი ორგანოდან წარმომადგენელი და ტარდებოდა წყლის მიკრობიოლოგიური კვლევა. აღნიშნული მომსახურება სკოლისთვის ხორციელდებოდა უსასყიდლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 236059251) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი წეროვანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტი (სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5, 3.6 კომპონენტები და მეოთხე სტანდარტი.

3. ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლენა გომართელმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 ივნისს,
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა შემდეგ მისამართზე: ქ.ხონი, რეზო შამათავას ქ. N16. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450.

პრეზანტაციის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლენა გომართელმა მიმოიხილა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო არაერთ საგანმანათლებლო თუ შემეცნებით პროექტში. როგორც აღინიშნა, სკოლა ასევე ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელიც წარმატებით ინერგებოდა, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. დაწყებით კლასებში ჩამოყალიბებული იყო წიგნიერების კლუბი, მოსწავლეები ქმნიდნენ წიგნიერებისა და მათემატიკის მიმართულებით სასწავლო რესურსებს, წარმატებით მონაწილეობდნენ პროგრამის მიერ ინიცირებულ პროექტებსა თუ კონკურსებში, პროგრამისთვის შერჩეული სკოლის ლიდერი მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ კოლეგებთან, სასკოლო ჯგუფების შეხვედრებს ჰქონდა სისტემატური ხასიათი, რაც დადებითად აისახებოდა სასკოლო კურიკულუმზეც, სკოლა ასევე მიმართავდა რემედიაციულ აქტივობებს საჭიროების შემთხვევაში, რისთვისაც შემუშავებული ჰქონდა კონკრეტული დოკუმენტაცია/აქტივობები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სკოლა ჩართული იყო განათლების კოალიციის პროექტში „CK-12 ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებისთვის“. პროექტი ხორციელდებოდა გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით, სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებით დაინტერესებას და ტექნოლოგიების ინტეგრირებას, მიმდინარე წელს სკოლაში ასევე განხორციელდა Stem პროექტები და სხვა.

ექსპერტის განცხადებით, ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით სკოლა თანამშრომლობდა „ამერიკის მშვიდობის კორპუსთან“ და ასევე ჩართული იყო პროგრამაში

„ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ ვიზიტის დროს სკოლაში იმყოფებოდა პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ ინგლისურენოვანი მასწავლებელი. უცხოელი და ქართველი მასწავლებლები ერთობლივად გეგმავდნენ გაკვეთილებს, აწყობდნენ მოსწავლეთა ბანაკებს. „მშვიდობის კორპუსის“ მხარდაჭერით სკოლაში მოწყობილი იყო ინგლისური ენის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე ტექნოლოგიებით, მოსწავლეებისთვის ასევე ფუნქციონირებდა ინგლისურენოვანი წიგნიერების კლუბი, ინგლისური ენის მასწავლებლები ჩართული იყვნენ eTwining-ის პროგრამაში.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო-კლუბი, რომლის მიზანიც იყო გარემოსდაცვითი აქტივობების ჩატარება და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. სკოლა თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ფონდი სოხუმი“ ხორციელდებოდა 4 წლიანი პროექტი „ განხეთქილების დაძლევა“ რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შეხვედრები ჰქონდათ აფხაზ და ოს თანატოლებთან, ფონდის დახმარებით სკოლაში ჩამოყალიბდა ფორუმ თეატრი, იქვე აღინიშნა, რომ მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით სკოლა თანამშრომლობდა პროფესიულ კოლეჯებთან, ტექნოლოგიების მიმართულებით.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლა ღია იყო გამოცდილების გაზიარებისთვის, მეზობელ სკოლებთან ერთად ახორციელებდნენ პროექტებს მოსწავლეთა ჩართულობით, წარმატებულ გამოცდილებას უზიარებდნენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებსა და მოსწავლეებს.
ექსპერტის განმარტებით, სკოლის სოციალური გვერდი იყო საკმაოდ ინფორმაციული, სკოლა საზოგადოებას სისტემატურად აცნობდა, როგორც სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ასევე საგანმანათლებლო სფეროში აქტუალურ ინფორმაციებს. სკოლის სოციალური გვერდი დატვირთული იყო მიმდინარე ფორმალური და არაფორმალური განათლების ამსახველი მრავალფეროვანი აქტივობებით. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ სკოლამ უკვე აამუშავა ვებ-გვერდი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლენა გომართელმა აღნიშნა, ექსპერთა ჯგუფის მიერ პირველი (სკოლის ფილოსოფია) , მეორე (სასკოლო კურიკულუმი) და მეოთხე (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, ხოლო მესამე სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) - მეტწილ შესაბამისად. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმის ვადების თანახმად უზურნველყოს პერსონალის პირადი საქმეების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. რეკომენდაცია ასევე გაიცა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ სკოლას სამოქმედო გეგმაში გაეწერა, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გრაფიკი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლენა გომართელმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობა რეაბილიტირებული იყო მილენიუმის პროგრამის ფარგლებში, კეთილმოწყობილი გარე სივრცით, ეზოთი. პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა, ასევე წარმოადგინა სკოლის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ პირველი სართული იყო ადაპტირებული.
საკითხის ამოწურვის შემდეგ, საბჭოს წევრმა, მორის დანდურაშვილმა დასვა კითხვა სკოლის მისამართით, რაც შეეხებოდა 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმას, კერძოდ მან აღნიშნა, რომ გეგმაში განსაზღვრული იყო შემაჯამებლების სავალდებულო რაოდენობა, თუმცა მე-10 კლასში, კერძოდ მოქალაქეობის საგანში, არ იყო განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა

სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვერა ბენიძემ, განმარტა, რომ მე-10 კლასის სახელმძღვანელოები გასულ წელს შეიცვალა, შემაჯამებელი დავალებების შედგენისას კი მასწავლებლები ძირითადად ეყრდნობოდნენ სახელმძღვანელოებს, ამდენად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის ვარიანტში არ იყო ასახული ცვლილება.

ვერა ბენიძემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრამ აირჩია შეფასების მეორე მოდელი, რომელიც შესათანხმებლად გაგზავნილი ჰქონდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლა სამომავლოდ გეგმავდა თუ არა პროფესიული პროგრამების დანერგვას.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვერა ბენიძემ აღნიშნა, რომ სკოლას შორეულ პერსპექტივაში ჰქონდა გეგმა, გახდეს პროფესიული განათლების პროვაიდერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლაში (ს/კ: 244970778) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ხონი, რეზო შამათავას ქ. N16
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ხონი, რეზო შამათავას ქ. N16
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ხონი, რეზო შამათავას ქ. N16

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.1. და 3.4. კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

4. სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ირმა ხუციშვილმა. განაცხადა, რომ სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15 და 16 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ გორში, სტალინის გამზირ N32-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1392 მოსწავლე.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც სტრანდარტთან შესაბამისი. კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასდა შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა მეტწილ შესაბამისად.
რაც შეეხებაა მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:
3.1. პერსონალის მართვა - შეესაბამება; 3.2. პერსონალის განვითარება - შეესაბამება; 3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა - შეესაბამება; 3.6. საინფორმაციო რესურსები - მეტწილად შეესაბამება და 3.7. ფინანსური რესურსები- შეესაბამება.
ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, (მოსწავლეთა მხარდაჭერა) ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

რაც შეეხება მეორე სტანდარტის-სასკოლო კურიკულუმის ოთხივე კომპონენტს: 2.1-კურიკულუმის შემუშავება; 2.2-კურიკულუმის განხორციელება 2.3-კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება; 2.4-ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც სტანდარტთან შესაბამისი.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ექსპერტის განმარტებით სკოლა გამოირჩეოდა მაღალი სასკოლო კულტურით, ურთიერთთანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით, სკოლის პროგრესზე ორიენტირებული სასკოლო საზოგადოებით. სკოლა იყო ახლად რეაბილიტირებული და ადაპტირებული, ჰქონდა ნათელი ოთახები, დერეფნები და შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ასევე, სკოლას ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი.
ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა, ასევე ისაუბრა სტანდარტის იმ კომპონენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც სტანდარტთან მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისად შეფასდა (1.2; 3.4; 3.6) და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები დასკვნაში დეტალურად იყო გაწერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა შენობის მდგრადობის შესახებ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის არსებობითა და ვებ-გვერდის გამართულობით და კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, რა ეტაპზე იყო ამ საკითხებთან დაკავშირებით პროცესები.
სკოლის დირექტორმა, ეკატერინე ხუციშვილმა, აღნიშნა რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა ამ ეტაპზე მათ უკვე მიღებული ჰქონდათ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. რაც შეეხება ვებ-გვერდს, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იგი უკვე გააქტიურებული იყო და მუშაობდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1392-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ- ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ გორის N9საჯარო სკოლას (ს/კ: 218016732) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1392 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი გორი, სტალინის გამზ. N32
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი გორი, სტალინის გამზ. N32
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი გორი, სტალინის გამზ. N32

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებამ 2024 წლის სექტემბრამდე უნდა წარმოადგინოს ცენტრში მესამე სტანდარტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, რაზეც ექსპერტთა მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაციები და მითითებული იყო დასკვნაში.

5. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის სავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05, 06, ივლისს. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა ორ შენობაში, სხვადასხვა მისამართზე. დაწესებულება მდებარეობდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტ, სოფელ დარჩელში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 340 მოსწავლე.

ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელიც სკოლის

მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა: პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია, შეფასდა, როგორც სტრანდარტთან მეტწილ შესაბამისი, ვინაიდან ორივე კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები და კომპონენტი 1.2 - სკოლის დაგეგმვა და განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, მესამე სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ . ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად: 3.1. პერსონალის მართვა - მეტწილი; 3.2. პერსონალის განვითარება-სრული;; 3.3. პროცესის მართვა - მეტწილი; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილი;3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- მეტწილი3.6. საინფორმაციო რესურსები - მეტწილი და 3.7. ფინანსური რესურსები- სრული.

ექსპერტის განმარტებით, მეოთხე სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რაც განაპირობა მისი ორივე კომპონენტის - 4.1 - მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 - მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები - სრულ შესაბამისობამ.

ექსპერტის განმარტებით, მეორე სტანდარტი-სასკოლო კურიკულუმის კომპონენტების სამივე საფეხურისთვის: შეფასებული იყო მეტწილად შესაბამისად.

ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, ასევე ისაუბრა სტანდარტის იმ კომპონენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც სტანდარტთან მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისად შეფასდა (1.1; 1.2; 3.1; 3.3; 3.4; 3.5; 3.6; 2.2;) და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები დასკვნაში დეტალურად იყო გაწერილი.

ექსპერტმა, ასევე წარმოადგინა ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ერთი შენობა აღჭურვილი იყო საჭირო მატერიალური რესურსებით, ლაბორატორიით და სამეცადინო ოთახით, რომელიც მეორე შენობას არ გააჩნდა. ასევე ექსპერტმა ისაუბრა მოსწავლეთა მხარდაჭერაზე და აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განცორციელებაში, სკოლაში ხორციელდებოდა საკლუბო მუშაობა სათანადო კველიფიკაციის მქონდე პერსონალის მეშვეობით, მათ შორის იყო მკითხველთა კლუბი, ინტელექტუალთა კლუბი და ეკოკლუბი. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლა 2022 წლის 20 დეკემბრიდან ჩართული იყო საქართველოს ეკოსკოლის პროგრამაში: „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, თუ რატომ იყო მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში, კერძოდ, სკოლის შინაგანაწესსა და სამუშაოს აღწერილობაში, განსხვავებები, მაგალითად მასწავლებელთა სკოლაში გამოცხადების შესახებ რეესტრში ფიქსირდებოდა შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც ღამის დარაჯს მუშაობა უწევდა 15 საათის განმავლობაში.

სკოლის დირექტორმა, მარინე ცარციძემ, აღნიშნა რომ ამის შესახებ მათ მიიღეს ექსპერტებისაგან რეკომენდაცია და ყველა დოკუმენტი მოიყვანეს შესაბამისობაში. რაც შეეხებოდა დარაჯის სამუშაო განაკვეთს, დირექტორმა დააფიქსირა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ხელშეკრულების მიხედვით მას ევალებოდა ემუშავა 20:00 საათიდან 8:00 საათამდე.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა სკოლას წარმოდგენილი ესთეტიკის მიმართულების საგნებში პროექტების დოკუმენტაცია, რომლის ვადაც შესაბამისობის გეგმის ფარგლებში იყო 10 სექტემბერი.

სკოლის დირექტორმა, მარინე ცარციძემ დაადასტურა, რომ მათ ჰქონდათ მოცემული დოკუმენტი შემუშავებული და მზად იყვნენ გაზიარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 220373628) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N124; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N206
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N124; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N206
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N124; ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფელი დარჩელი,რუსთაველის ქ.N206

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

6. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის სავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, გორის მუნიციპალიტეტ, სოფელ ტყვიავში. სკოლა ახორციელებდა სამივე (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 506 მოსწავლე. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და საჭირო ინფრასტრუქტურის შეფასებით სკოლაში შესაძლოა განთავსებულიყო 506 მოსწავლე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი თითოეულ კლასში იქნებოდა 29 მოსწავლე.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და დარღვევად მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელიც სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შემდეგნაირად შეფასდა:
პირველი სტანდარტი, სკოლის ფილოსოფია შეფასდა, როგორც სტრანდარტთან შესაბამისი, ვინაიდან კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასდა, როგორცსრული, ხოლო , კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, როგორც მეტწილი.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც შესაბამისი, ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:
3.1. პერსონალის მართვა -სრული; 3.2. პერსონალის განვითარება-სრული; 3.3. პროცესის მართვა - სრული; 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილი; 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- სრული; 3.6. საინფორმაციო რესურსები- სრული და 3.7. ფინანსური რესურსები- სრული
ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგივე შეფასება ვრცელდებოდა მეორე სტანდარტზე - სასკოლო კურიკულუმი - სამივე საფეხურისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა მეორე სტანდარტის ოთხივე კომპონენტი შეაფასა,როგორც სტანდარტთან შესაბამისი.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ასევე ისაუბრა სტანდარტის იმ კომპონენტებთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც სტანდარტთან მეტწილ ან ნაწილობრივ შესაბამისი იყო. ექსპერტმა განაცხადა, რომ ინდიკატორი 1.2.1.2-დან გამომდინარე სკოლამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (26.06.2022-06.09.2023) რაც შეეხებოდა იდიკატორ 1.2.1.3 -ს ექპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლას უნდა უზრუნველეყო სამოქმედო გეგმის შემუშავება (26.06.2022-15.09.2023) ასევე, ინდიკატორ 1.2.1.4 -თან მიმართებით სკოლას უნდა უზრუნველეყო სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნებოდა (26.06.2022-15.09.2023). რაც შეეხებოდა 3.4.1.1 ინდიკატორს, გაცემული რეკომენდაციის მიხედვით სკოლას უნდა უზრუნველეყო აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის (20.08.2023-01.08.2024) და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.06.2023-31.03.2024). სკოლაა ასევე უნდა უზრუნველეყო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება-ინდიკატორი 3.4.1.2 (01.12.2023).
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, საბჭოზე წარადგინა სკოლის შენობისა და ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირდა 2015-2016 წლებში და ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო სრული მატერიალური რესურსით. სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, ქიმიის ლაბორატორია და სველი წერტილები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, მოდის დანდურიშვილი, დაინტერესდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებით და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაასრულეს თუ არა დოკუმენტზე მუშაობა. ვინაიდან შესაბამისობის გეგმაში მითითებული იყო, რომ დოკუმენტი მზად იქნებოდა მიმდინარე წლის 06 სექტემბერს.
სკოლის დირეტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლია ფალელაშვილმა, დაადასტურა, რომ მათ შეიმუშავეს და 06 სექტემბერს დაამტკიცეს სტრატეგიული გეგმა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვა აეხსნა ის, თუ როგორ მოახერხეს დოკუმენტაციების შემუშავების პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართვა.
სკოლის დირექტორი მოვალეობის შემსრულებელმა, ლია ფალელაშვილმა, აღნიშნა, რომ ისინი გამოკითვებისთვის იყენებდნენ ელექტრონულ პლატფორმა- Forms, რის საშუალებითაც იგებდნენ და ითვალისწინებდნენ მშობლების აზრს.
საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ტექნოლოგიების ექსპერტმა, მეგი კაპანაძემ დასძინა, რომ ვიზიტების დროს, გასაუბრებებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი გამოკითხვებს ატარებდნენ და ცდილობდნენ მშობლების ჩართვას სხვადასხვა საკითხებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 506 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049252) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 506 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყვიავი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდგომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა: 19:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა